პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 16

20 17 წ. "21" 06

ქ.თბილისი

ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ,,იკაროსისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №19 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეიცვალოს ,,ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ,,იკაროსისათვის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ'' პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 3 სექტემბრის №19 გადაწყვეტილების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
ა(ა)იპ - პროფესიულ კოლეჯ ,,იკაროსს'' (ს/კ: 211351071) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ბართენდერი	მესამე	ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 112067	87	80
2	კონსულტანტ-გამყიდველი	მესამე	კონსულტანტ-გამყიდველის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 020256	87	80
3	მიღება-განთავსების სპეციალისტი	მესამე	მიღება-განთავსების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, 112065	99	80

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 ივნისის №5 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
მაია ჩიხლაძე